

"თბილისობა 2018" – ღონისძიებები ხუთ სხვადასხვა ადგილზე გაიმართება



**„თბილისობა 2018“-ის
ფარგლებში დაგეგმილი
ღონისძიებები
დედაქალაქში ხუთ
სხვადასხვა ადგილზე
გაიმართება.**

თბილისის მერმა ვახა კარაძემ დედაქალაქის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე „თბილისობა 2018“-ის ფარგლებში, 6 და 7 ოქტომბერს დაგეგმილ ღონისძიებებზე ისაუბრა.

ვახა კარაძის განცხადებით, კურთხურ-გასართობი ღონისძიებები თბილისში ორი დღის განმავლობაში გაგრძელდება და დედაენის ბაღში, რიყის პარკში, პირველი რესპუბლიკის მოედანზე, ევროპის მოედანსა და რელიგიაზე გაიმართება.

„ღონისძიებები, რომელიც „თბილისობა 2018“-ის აღსანიშნავად დედაქალაქში 6 და 7 ოქტომბერს გაიმართება, საკმაოდ დატვირთული იქნება. 6 ოქტომბერს ევროპის მოედანზე შედგება „თბილისური ვოლფვიდის“ პრემიერა, რომელიც მონაწილეობას მიიღებენ ქართული სცენის ვარსკვლავები ყველა იმ ეთნოსითა და ნიუანსით, რომელიც თბილისს ახასიათებს. სცენაზე მურტიკურტურული თბილისი გაცოცხლდება. „თბილისობის“ დღესასწაულის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროექტი იქნება „გვიდირიჟორე“. სპეციალურად მოწყობილ სცენაზე განთავსებული ორკესტრი მსმენელს პოპულარულ მელოდიებს შესთავაზებს“, – განაცხადა თბილისის მერმა.

მისივე თქმით, 7 ოქტომბერს, კონკას მიმდებარე სკვერში, კომპოზიტორ რევაზ დადიძის ბიუსტი გაიხსნება და „ქართული ხმების“ კონცერტი გაიმართება. პირველი რესპუბლიკის მოედანზე კი, თბილისის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება და გრანდიოზური გაღა-კონცერტი შედგება, რომელიც ასევე, რევაზ დადიძის შემოქმედებას მიეძღვნება.

„კონცერტს მუსიკადურად გააფორმებს ევგენი მიქედაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ნიკოლოზ რაჭველის ხელმძღვანელობით, ხოლო სცენაზე იდგება ყველა ის მომღერალი, რომელიც სიმღერებს გამორჩენილი ქართველი კომპოზიტორის რეპერტუარიდან ასრულებს. ასევე, რიყის პარკში მოეწყობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ყვავილების ინსტალაცია, რომლის გარშემოც სხვადასხვა კურინარიური კუთხეები განთავსდება.

საბეიშო ღონისძიებების პროგრამა საკმაოდ საინტერესო იქნება. ამიტომ, მივმართავ ყველას, ვისაც გაუხარდება, მოვიდეს, მოიყვანონ შვირები, შვირიშვირები და „თბილისობა“ ერთად ვიზიშოთ“, – განაცხადა ვახა ვადაძემ.